მუხლი 7. უნივერსიტეტიდან გარიცხული\ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტიდან (აგრეთვე იმ უსდ-დან, რომლის უფლებამონაცვლეც არის უნივერსიტეტი) გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მომართოს უნივერსიტეტს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

2. უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლბლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ ამორიცხვამდე ათვისებული პროგრამის ახალ პროგრამასთან თავსებადობის საფუძველზე ამ კოდექსის მუხლი 10-ის (კრედიტების აღიარების წესის) შესაბამისად.

3. უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე, ან სემესტრის დაწყებიდან 1 ნოემბრამდე (შემოდგომის სემესტრში) და 1 აპრილამდე (გაზაფხულის სემესტრში).

4. სემესტრის დასრულების შემდეგ ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ექვემდებარება მომდევნო სემესტრსი გადაყვანას (გარდა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა).